ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:ო63.6321347001
თარიღი:13/12/2021

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**რიგგარეშე სხდომის**

**ო ქ მ ი N 23**

**ქ. სამტრედია. 26 ნოემბერი, 2021 წელი.**

2021 წლის 26 ნოემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

***სხდომას ესწრებოდნენ:*** ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არშუმანიანი,

ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ვაჟა სტურუა,

ზაზა ადეიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი (ონლაინ ჩართვა), დავით ამაღლობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ხვიჩა ფანცულაია, ტარიელ თევზაძე, ილია მჟავია, ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, ბაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე (ონლაინ ჩართვა), გრიგოლ დარჯანია, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), ავთანდილ სტურუა (ონლაინ ჩართვა), კამო კანდელაკი, აკაკი მინაშვილი.

**ასევე სხდომას ესწრებოდნენ:**

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი, გიორგი ხაჟალია.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

3. ა.(ა).ი..პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტი, ნათია იობაძე.

4. ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ონლაინ ჩაერთვებიან საკრებულოს წევრები: კოტე ნაცვლიშვილი, ნონა გოგისვანიძე, დავით ნიკოლეიშვილი და ავთანდილ სტურუა.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა - ,,ძვირფასო კოლეგებო, მადლობას

გიხდით თანამშრომლობისათვის, ამ წლების განმავლობაში დახარჯული ენერგიისათვის, თქვენი შემართებისა და გაწეული მუშაობისათვის. თქვენი განათლება, პროფესიონალიზმი და დაუზოგავი შრომა ყოველთვის ემსახურება და მოემსახურება მომავალში ქვეყნის კეთილდღეობის საქმეს. ვფიქრობ, რომ დღეს მე--4 მოწვევის საკრებულოს ბოლო სხდომა გახლავთ. დარბაზში სხედან ადამიანები, რომლებიც მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრები არიან. დარწმუნებული ვარ ისინი თავიანთ უფლებამოვალეობას წარმატებით გაართმევენ თავს, ყველა ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი, ყველა ფიქრი და აზრი მიმართული იქნება ქვეყნის აღმშენებლობისა და კეთილდღეობისაკენ. თქვენი სახელით მინდა გულწრფელი მადლობა გადაუხადო გაზეთის, ტელევიზიისა და საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩვენთან ერთად, ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, დადგენილებებს, პოლიტიკურ დებატებს ყოველთვის გეგმაზომიერად, კანონის ფარგლებში აშუქებდნენ. კიდევ ერთხელ წარმატებებს გისურვებთ, დამილოცნია გზა ბედნიერების, გზა წარმატების და გზა ქვეყნის განვითარებისათვის. მომავალ შეხვედრამდე.

საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი**

1. ,,2021 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

   **/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/**

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში ამბულატორიის მშენებლობის საკითხის მოწონების შესახებ.

   **/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/**

3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 24 პროექტის მოწონების შესახებ.

   **/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/**

4. ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 15 პროექტის მოწონების შესახებ''.

5. **/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/**

6. **სხვადასხვა**

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

***დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ. საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,2021

წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის **2021 წლის 18 ნოემბრის** N62-622132299, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,2021 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გომის, ნაბაკევის, ბაშის, გამოჩინებულის და ღანირის ადმინისტრაციული ერთეულებისთვის სხვადასხვა სოფლებში გამოყოფილი თანხების ფარგლებში შერჩეული პროექტების განხორციელების შემდეგ, დარჩა გარკვეული ეკონომიები: კერძოდ,

1. სოფელი დაბლა გომი - გარე განათების მოწყობიდან ეკონომიამ შეადგინა 2528,05 (ორიათას ხუთას ოცდარვა ლარი და ხუთი თეთრი) ლარი;

2. სოფელი კეთილაური - გარე განათების მოწყობიდან ეკონომიამ შეადგინა 1336,43 (ათას სამას ოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდასამი თეთრი ) ლარი;

3. სოფელი გომმუხაყრუა - გარე განათების მოწყობიდან ეკონომიამ შეადგინა 1153,25 (ათას ას ორმოცდაცამეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარი, სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობიდან ეკონომიამ შეადგინა 402,01 (ოთხასორი ლარი და ერთი თეთრი) ლარი, ელექტრო წყლის ტუმბოს შეძენიდან ეკონომიამ შეადგინა 50 (ორმოცდაათი) ლარი, ჯამში 1153,25+402,01+50=1605,26 (ათას ექვსას ხუთი ლარი და ოცდაექვსი თეთრი);

4. სოფელი დაბლა ეწერი -გარე განათების მოწყობიდან ეკონომიამ შეადგინა 1736,78 (ათას შვიდას ოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდათვრამეტი თეთრი ) ლარი;

5. სოფელი ზედა ეწერი -გარე განათების მოწყობიდან ეკონომიამ შეადგინა 1692,20 (ათას ექვსას ოთხმოცდათორმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარი;

6. სოფელი კორმაღალი - გარე განათების მოწყობიდან ეკონომიამ შეადგინა 1840,49 (ათას რვაას ორმოცი ლარი და ორმოცდაცხრა თეთრი) , ხუთ ტონიანი პოლიეთილენის ავზის შეძენიდან ეკონომიამ შეადგინა 48 (ორმოცდარვა) ლარი, დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენიდან ეკონომიამ შეადგინა 9 (ცხრა) ლარი ჯამში 1840,49+48+9=1897,49 (ათას რვაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაცხრა თეთრი);

7. სოფელი მთისძირი - გარე განათების მოწყობიდან ეკონომიამ შეადგინა 2901,28 (ორიათას ცხრაას ერთი ლარი და ოცდარვა თეთრი ) ლარი;

8. სოფელი დაფნარი -გარე განათების მოწყობიდან ეკონომიამ შეადგინა 1490,04 (ათას ოთხას ოთხმოცდაათი ლარი და ოთხი თეთრი) ლარი,ფოლადის ავზის შეძენისგან ეკონომიამ შეადგინა 5,6 (ხუთი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი, ჯამი

1490,04+5,6=1495,64 (ათას ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) ლარი;

9. სოფელი გომნატეხები -გარე განათების მოწყობიდან ეკონომიამ შეადგინა 2243,93 (ორიათას ორას ორმოცდასამი ლარი და ოთხმოცდაცამეტი თეთრი) ლარი;

10. სოფელი დობირო -გარე განათების მოწყობიდან ეკონომიამ შეადგინა 1415,57 (ათას ოთხას თხუთმეტი ლარი და ორმოცდაჩვიდმეტი თეთრი ), დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენიდან ეკონომიამ შეადგინა 300 (სამასი) ლარი. ჯამი 1415,57+ 300=1715,57 (ათას შვიდას თხუთმეტი ლარი და ორმოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი;

11. სოფელი ნაბაკევი - გარე განათების ახალი ნათურებით შეცვლიდან ეკონომიამ შეადგინა 1710,45 (ათას შვიდასათი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) ლარი; სკვერში ატრაქციონის შეძენა მონტაჟიდან ეკონომიამ შეადგინა 1000 (ათასი ლარი)ლარი - ჯამში 1710,45+1000=2710,45;

12. სოფელი ხუნჯულაური - გარე განათების ახალი ნათურებით შეცვლიდან ეკონომიამ შეადგინა 1156,51(ათას ას ორმოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდათერთმეტი თეთრი) ლარი;

13. სოფელი ბაში - გარე განათების მოწყობიდან დარჩენილმა ეკონომიამ შეადგინა 748.38 (შვიდას ორმოცდარვა ლარი და ოცდათვრამეტი თეთრი) ლარი;

14. სოფელი გამოჩინებული - გარე განათების მოწყობიდან დარჩენილმა ეკონომიამ შეადგინა 1694,28 (ათას ექვსას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და ოცდარვა თეთრი) ლარი;

15. სოფელი ღანირი - გარე განათების მოწყობიდან დარჩენილმა ეკონომიამ შეადგინა 400,44 (ოთხასი ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი) ლარი;

16. სოფელი ჭაგანი - გარე განათების მოწყობიდან დარჩენილმა ეკონომიამ შეადგინა 368,56 (სამასსამოცდარვა ლარი და ორმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი. წარმოშობილი ეკონომიების ასათვისებლად ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე მიზანშეწონილია თანხები მიმართული იქნას სოფლის მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტის - „გარე განათების მოწყობის" მიმართულებით, კერძოდ შეძენილი იქნას შესაბამის სოფლებში გარე განათების ლამპიონები (ლედი, თეთრი ნათების, 30 ვატიანი, დრაივერით, დიაპაზონით 85-320 ვოლტი).

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში.

განკარგულების დანართი №1 (სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

## სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები

| № | ადმინისტრაციული ერთეული / სოფელი | პროექტის დასახელება | საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა | თანადაფინანსება | პროექტის ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | სოფელი ბაში. | გარე განათების მოწყობა. | 20 000 | | 18638,62 |
| | | სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. | | | 0 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 748,38 |
| 2 | სოფელი იანეთი. | სოფელში გარე განათების მოწყობა. | 20 000 | 20 000 | 39000 |
| 3 | სოფელი დიდი ჯიხაიში. | გარე განათების მოწყობა. | 20 000 | 20 000 | 39000 |
| 4 | ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი გვიმრალა. | ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება) . | 12 000 | 12 000 | 144300 |
| 5 | ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი ახალსოფელი. | ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | 16 000 | 16 000 | |
| 6 | ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი ჯიქთუბანი. | ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | 12 000 | 12 000 | |
| 7 | ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი კეჭინარი. | ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | 12 000 | 12 000 | |
| 8 | ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი ოჭოფა. | ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | 10 000 | 10 000 | |
| 9 | ეწრის ადმ. ერთეული/ სოფელი პატარა ეწერი. | ე.წ. ვაღურიის სტადიონის მოწყობის დასრულება (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | 12 000 | 12 000 | |
| 10 | მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი მელაური. | სანიაღვრე არხის გაჭრა. | 12 000 | | 3900 |
| | | სანიაღვრე არხისთვის 2 ცალი მილ-ბოგირის (1000მმ*6მ) შეძენა. | | | 2000 |
| | | გარე განათების ბოძების შეცვლა. | | | 1462,5 |
| | | ამბულატორიის შენობისთვის სველი წერტილების რეაბილიტაცია. | | | 4387,5 |
| 11 | მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი მიწაბოგირა. | სკვერის შემოსაღობად აგურის შეძენა. | 16 000 | | 16000 |
| 12 | მელაურის ადმ. ერთეული/სოფელი ხიბლარი. | სპორტული მოედნის მოწყობა. | 16 000 | | 15600 |
| 13 | დაბა კულაში | გზისპირა მოსაცდელის მოწყობა. | 20 000 | | 4875 |
| | | სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. | | | 14235 |
| | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სპორტული მოედნისთვის ბალახის საკრეჭი აპარატის შეძენა. | | | 400 |
| 14 | ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ჩხენიში. | სოფელში სპორტული სავარჯიშო მოწყობილობების შეძენა-მონტაჟი. | 16 000 | 16 000 | 25000 |
| | | სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა. | | | 6825 |
| 15 | ნაბაკევის ადმ. ერთეული/ სოფელი ნაბაკევი. | გარე განათების ნათურების ახალი ნათურებით შეცვლა. | 16 000 | | 8039,55 |
| | | სკვერში ატრაქციონის შეძენა-მონტაჟი. | | | 5000 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 2710,45 |
| 16 | ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ხუნჯულაური. | არსებული გზისპირა მოსაცდელის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. | 12 000 | | 4875 |
| | | გარე განათების ნათურების ახალი ნათურებით შეცვლა. | | | 5668,49 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 1156,51 |
| 17 | ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი ნინუაკუთხე. | სკვერის კეთილმოწყობა. | 16 000 | | 15600 |
| 18 | ნაბაკევის ადმ. ერთეული/სოფელი კვირიკე. | სკვერის კეთილმოწყობა. | 12 000 | | 11700 |
| 19 | ღანირის ადმ. ერთეული/ სოფელი ღანირი. | წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა. | 20 000 | | 16174,56 |
| | | სკვერის რეაბილიტაცია. | | | 2925 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 400,44 |
| 20 | ღანირის ადმ. ერთეული/ სოფელი ჭაგანი. | გარე განათების მოწყობა. | 16 000 | | 15231,44 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 368,56 |
| 21 | გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დაბლა გომი. | გარე განათების მოწყობა. | 16 000 | | 11121,95 |
| | | ე.წ. გაღმა ჩხაიძეების უბანში გზის მოხრეშვა. | | | 1950 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 2528,05 |
| 22 | გომის ადმ. ერთეული/ სოფელი კეთილაური. | გარე განათების მოწყობა. | 10 000 | | 5781,07 |
| | | გზის მოხრეშვა-მოსწორება. | | | 2437,5 |
| | | დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | | | 200 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 1336,43 |
| 23 | გომის ადმ. ერთეული/ სოფელი ცივწყალა. | გზის მოხრეშვა. | 10 000 | | 8775 |
| | | გომმუხაყრუას საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა. | | | 1000 |
| 24 | გომის ადმ. ერთეული/ სოფელი გომმუხაყრუა. | გარე განათების მოწყობა ე.წ. ნადირაძეების უბანში. | 12 000 | | 4891,75 |
| | | სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობა ე.წ. ყენიების უბანში. | | | 3692,99 |
| | | ელექტრო წყლის ტუმბოს შეძენა. | | | 750 |
| | | ბეტონის 1000*500*500მმ ღარის შეძენა. | | | 800 |
| | | გარე განათების ლამპიონების | | | 1605,26 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | შეძენა. | | | |
| 25 | გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დაბლა ეწერი. | გარე განათების მოწყობა. | 10 000 | | 7720,72 |
| | | დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | | | 300 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 1736,78 |
| 26 | გომის ადმ. ერთეული/ სოფელი ზედა ეწერი. | გარე განათების მოწყობა. | 12 000 | | 7277,8 |
| | | გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოსწორება). | | | 2437,5 |
| | | დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | | | 300 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 1692,2 |
| 27 | გომის ადმ. ერთეული/ სოფელი კორმაღალი. | გარე განათების მოწყობა. | 12 000 | | 8007,01 |
| | | 5 ტონიანი პლასტმასის ავზის შეძენა. | | | 1652 |
| | | დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | | | 191 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 1897,49 |
| 28 | გომის ადმ. ერთეული/ სოფელი მთისძირი. | გარე განათების მოწყობა. | 16 000 | | 12698,72 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 2901,28 |
| 29 | გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დაფნარი. | გარე განათების მოწყობა. | 16 000 | | 6309,96 |
| | | ფოლადის ემალირებული 16 ტონიანი ავზის შეძენა. | | | 5994,4 |
| | | ე.წ. ჯაშების დასახლებაში გზის მოხრეშვა. | | | 1950 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 1495,64 |
| 30 | გომის ადმ. ერთეული/ სოფელი. გომნატეხები. | გარე განათების მოწყობა. | 12 000 | | 9456,07 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 2243,93 |
| 31 | გომის ადმ. ერთეული/ სოფელი დობირო. | გარე განათების მოწყობა. | 10 000 | | 6091,93 |
| | | გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოსწორება). | | | 1950 |
| | | დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | | | 0 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 1715,57 |
| 32 | საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი პირველი ნიგორზღვა. | გარე განათების მოწყობა. | 12 000 | 12 000 | 23400 |
| 33 | საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი მეორე ნიგორზღვა. | გარე განათების მოწყობა. | 10 000 | 10 000 | 19500 |
| 34 | საჯავახოს ადმ. ერთეული/ სოფელი ჭოგნარი. | გარე განათების მოწყობა. | 12 000 | 12 000 | 23400 |
| 35 | საჯავახოს ადმ. ერთეული/სოფელი საჯავახო. | გარე განათების მოწყობა. | 16 000 | 16 000 | 31200 |
| 36 | ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ტოლები. | გარე განათების მოწყობა. | 10 000 | | 9750 |
| 37 | ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ზემო ტოლები. | გარე განათების მოწყობა | 10 000 | | 9750 |
| | ტოლების ადმ. ერთეული/ | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 38 | სოფელი ბუღნარა. | გარე განათების მოწყობა. | 12 000 | | 11700 |
| 39 | ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ქორეისუბანი. | სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. | 10 000 | | 9750 |
| 40 | ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ვაზისუბანი. | გარე განათების მოწყობა. | 16 000 | | 15600 |
| 41 | ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ქვემო ნოღა. | გარე განათების მოწყობა. | 12 000 | 12 000 | 23400 |
| 42 | ტოლების ადმ. ერთეული/ სოფელი ზემო ნოღა. | გარე განათების მოწყობა. | 12 000 | 12 000 | 23400 |
| 43 | სოფელი გორმაღალი. | სპორტული მოედნის მოწყობა. | 16 000 | 16 000 | 31200 |
| 44 | სოფელი გამოჩინებული. | გარე განათების მოწყობა. | 10 000 | | 8055,72 |
| | | გარე განათების ლამპიონების შეძენა. | | | 1694,28 |
| 45 | ოფეთის ადმ. ერთეული/ სოფელი თხილაგანი. | ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | 10 000 | | 58500 |
| 46 | ოფეთის ადმ. ერთეული/ სოფელი წიაღუბანი. | ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | 10 000 | | |
| 47 | ოფეთის ადმ. ერთეული/ სოფელი მტერჩვეული. | ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | 10 000 | | |
| 48 | ოფეთის ადმ. ერთეული/ სოფელი ნაწილი ოფეთი. | ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | 10 000 | | |
| 49 | ოფეთის ადმ. ერთეული/ სოფელი პატარა ოფეთი. | ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | 10 000 | | |
| 50 | ოფეთის ადმ. ერთეული/ სოფელი დიდი ოფეთი. | ცენტრალური საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია (ერთობლივი საპროექტო წინადადება). | 10 000 | | |
| | | | 660 000 | 220 000 | 859 412 (773 593,35 სამუშაოები) |

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

***დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ. საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი,

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიში ამბულატორიის მშენებლობის საკითხის მოწონების შესახებ’’.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიში, ამბულატორიის მშენებლობის საკითხი, დანართი №1.

**დანართი №1**

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ.

| № | პროექტის დასახელება | პროექტის ღირებულება (ლარი) | |
|---|---|---|---|
| | | **სულ** | **მ.შ.თანადაფინა ნსება** |
| | **1** | **2** | **3** |
| 1 | ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიში, ამბულატორიის მშენებლობა. | 146867 | 7335 |

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიში, ამბულატორიის მშენებლობის საკითხის მოწონების შესახებ’’.

***დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ. საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 24 პროექტის მოწონების შესახებ’’.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 17 ნოემბრის N 62-622132164, წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 24 პროექტის მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 24 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

**დანართი №1**

**ინფორმაცია**

**საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 24 პროექტის შესახებ.**

| № | პროექტის დასახელება | პროექტის ღირებულება (ლარი) | |
|---|---|---|---|
| | | სულ | მ.შ.თანადაფინანსება |
| | 1 | 2 | 3 |
| 1 | ქ. სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდ. ლოღობიდან ავტოსადგურამდე გზის საფარის რეაბილიტაცია. | 412,266.00 | 20,614 |
| 2 | ქ. სამტრედიაში, თ. დუნდუას I ჩიხში; რესპუბლიკის მე-5 ჩიხში; ფარნავაზის ქუჩის I ; V ჩიხებში და მე-3 შესახვევში ; ერისთავის ქუჩისა (გეოლოგების კორპუსის გვერდით) და ერისთავის I ჩიხში; ასფალტ -ბეტონის საფარის დაგება. | 231,615.00 | 11,581 |
| 3 | წინსვლის ქუჩის გაგრძელება და წინსვლის ქუჩის მე-3 შესახვევში ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება. | 200,018.00 | 10,001 |
| 4 | ქ. სამტრედიაში, ამირან კალაძის ქუჩის III; IV; V; VI; VI-ა; VIII ჩიხებში და I; III; V შესახვევებში ასფალტ -ბეტონის საფარის დაგება. | 339,723.00 | 16,987.00 |
| 5 | სოფ. დიდი ჯიხაიშში N29 ქუჩაზე ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა. | 165,599.00 | 8,280.00 |
| 6 | სოფ. ნაბაკევში N4 გზიდან ნინუაკუთხის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია ასფალტ -ბეტონის საფარით. | 94,894.00 | 4,745.00 |
| 7 | სოფ. ნინუაკუთხეში N11 გზის რეაბილიტაცია ასფალტ- ბეტონის საფარით. | 133,336.00 | 6,667.00 |
| 8 | ქ. სამტრედიაში, არაყიშვილის ქუჩაზე და ფიროსმანის I ჩიხში და ელიავას I ჩიხში ასფალტ -ბეტონის საფარის დაგება. | 116,030.00 | 5,802.00 |
| 9 | ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ახალსოფელში ბორანთან მისასვლელი გზის პარალელურ ქუჩაზე თავისი შესახვევებით ასფალტ -ბეტონის საფარის დაგება. | 209,300.00 | 10,465.00 |
| 10 | სოფ. I მიწაბოგირაში ჭაგნის გადასახვევიდან სოფ. ეწრის მიმრთულებით ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება. | 103,611.00 | 5,181.00 |
| 11 | ქ. სამტრედიაში დ. აღმაშენებლის ქუჩისა და რუსთაველის ქუჩის დამაკავშირებელი გზაგამტარი ხიდის რეაბილიტაცია (ასფალტ- ბეტონის საფარით). | 159,427.00 | 7,972.00 |
| 12 | სოფ. ნაბაკევში ტაძრის აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეს | 209,006.00 | 10,451.00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ასფალტ- ბეტონის საფარის მოწყობა. | | |
| 13 | დაბა კულაშში, მეგობრობისა და კოსტავას ქუჩებზე ასფალტ - ბეტონის საფრის მოწყობა. | 81,926.00 | 4,097.00 |
| 14 | გორმაღალის ადმ. ერთეულში გზის რეაბილიტაცია - ბეტონის საფარით. | 850,611.00 | 42,531.00 |
| 15 | ოფეთის ადმ. ერთეულში სოფ. ნიგორზღვის შესახვევიდან ე.წ. ,,აბანოს უბნის" მიმართულებით ბეტონის გზის მოწყობა. | 513,472.00 | 25,674.00 |
| 16 | ქ. სამტრედიაში, ბარათაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია ასფალტ-ბეტონის საფარით. | 86,800.00 | 4,340.00 |
| 17 | ქ. სამტრედიაში, ჭონქაძის ქუჩის მოედანზე ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა. | 95,560.00 | 4,778.00 |
| 18 | სოფ. ნაბაკევში მე-2 და მე-4 ჩიხებში ასფალტ -ბეტონის საფარის დაგება. | 219,820.00 | 10,991.00 |
| 19 | კოსტავას ქუჩაზე არსებული ვ. კოპალეიშვილის სახ. სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა. | 176,862.00 | 8,844.00 |
| 20 | ვაგზლის მოედნის მიმდებარე სკვერში ჩასატარებელი სამუშაოები (საზოგადოებრივი ტუალეტის მოწყობა). | 150,316.00 | 7,912.00 |
| 21 | თამარ მეფის ქუჩაზე მიმდებარედ დინამიური პროგრამირებადი შადრევნის მოწყობა. | 100,168.00 | 5,272.00 |
| 22 | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩხენიშის N2 ქუჩაზე ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება. | 280095 | 19005 |
| 23 | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩხენიშის N10 ქუჩაზე ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება. | 50079 | 2504 |
| 24 | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ნინუაკუთხეში N8 ქუჩის გაგრძელებაზე და სოფ. ხუნჯულაურში N4 და N9 ქუჩებზე ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება. | 65281 | 3265 |

აზრი გამოთქვეს: გიორგი ლეჟავამ, აკაკი მინაშვილმა.

გიორგი ლეჟავა - ჩემი შენიშვნა ძირითადად ეხება ინფრასტრუქტურის სამსახურს. მე სხვა დროსაც მქონდა გამოსვლა და ავღნიშნე, რომ ზოგ თემში თანხების განაწილება და პროექტების მოწონება ხდება მოჭარბებულად და ზოგ თემში მოკრძალებულად. 24 პროექტიდან ერთი თემი წარმოდგენილი იყოს 7 პროექტით , ხოლო ისეთი თემი, როგორიც დიდი ჯიხაიშია, ერთი პროექტით ნამდვილად უხერულია. არ მიმაჩნია სწორად სხვაგან ვაკეთებდეთ ჩიხებში პროექტის მოწონებას, მაშინ როდესაც ჯიხაიშში გვაქვს ქუჩები, სადაც არავითარი პროექტი და მოწონება არ გვაქვს. ეს მინდა მომავალში გავითვალისწინოთ. რაღაც პროპორცია დავიცვათ. ჩემთვის ძნელია ავუხსნა ჩემს ამომრჩეველს, რომ სხვა თემში გაცილებით მეტი კეთდება ვიდრე ჩემს სამაჟორიტარო უბანში.

აკაკი მინაშვილი - პირველ რიგში მინდა მივესალმო წარმოდგენილი პროექტების მოწონებას. როგორც იქნა ჩაისვა წინსვლის ქუჩა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ქუჩაა, ვინაიდან ის ორ უბანს აერთებს და ასევე ამ ტერიტორიაზე განთავსებულია სკოლა. ვიდრე ასფალტი დაიგება გასათვალისწინებელია არხის გაკეთება, სხვა შემთხვევაში აზრი არ ექნება მის დაგებას. აქ ბარათაშვილის ქუჩა იყო ნახსენები, ეს ქუჩა მანამდე იყო ჩასმული, დაახლოებით 1,5 წლის წინ. ამის შემდგომ ამოღებული იქნა პროექტიდან. ამას იმიტომ ვახსენებ, რომ პარალელს ვავლებ წინსვლის ქუჩასთან, ვინაიდან არ მინდა ამ ქუჩასაც იგივე ბედი ეწიოს. ბარათაშვილის ქუჩაზე დაიგო გზა, მაგრამ იმდენად ცუდი და უხარისხო, იმდენად თხელი, მალევე დაზიანდა. ის თანხები ხომ ტყუილად დაიხარჯა და არაფერში არ გამოდგა. მინდა ეს ყველაფერი გათვალისწინებული იყოს.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 24 პროექტის მოწონების შესახებ''.

***დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ. საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 15 პროექტის მოწონების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 19 ნოემბრის N62-6221323115, წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 15 პროექტის მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 15 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

**დანართი №1**

**ინფორმაცია**

**საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 15 პროექტის შესახებ.**

| N | პროექტის დასახელება | პროექტის ღირებულება (ლარი) | |
|---|---|---|---|
| | | სულ | მ.შ.თანადაფინანსება |
| | 1 | 2 | 3 |
| 1 | სოფ. ტოლებში ე.წ. ,,აჭარლების დასახლებაში" ასფალტ - ბეტონის საფარის დაგება. | 148000 | 7400 |
| 2 | გომის ადმ ერთეულის სოფ. დაბლა გომში N4 ქუჩაზე ბეტონის საფარის დაგება. | 350000 | 17500 |
| 3 | ქ. სამტრედიაში სანაპიროს ქუჩაზე ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება (ორი ფენა). | 192000 | 9600 |
| 4 | რუსთაველის N4 ბინის წინმდებარე და რუსთაველის N6 ბინის დასავლეთ მხარეს არსებული სკვერების რეაბილიტაცია. | 150000 | 7500 |
| 5 | თამარ მეფისა და რუსთაველის ქუჩებს შორის (პოლიციის წინმდებარე) | 200000 | 10000 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | არსებული სკვერის სრული რეაბილიტაცია. | | |
| 6 | რესპუბლიკის ქუჩაზე არსებული ,,მომავლის პარკი"-ს სრული რეაბილიტაცია. | 250000 | 12500 |
| 7 | ლაშა თევზაძის ქუჩაზე არსებულ ჩოგბურთის კორტებზე კაუჩუკის იატაკის მოწყობა. | 275000 | 13750 |
| 8 | ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებულ კალათბურთის მოედანზე კაუჩუკის იატაკის მოწყობა. | 140000 | 7000 |
| 9 | ეროსი მანჯგალაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სათადარიგო მოედნის მოწყობა. | 1500000 | 75000 |
| 10 | იანეთის მე-9 უბანში ტრენაჟორები, ნაჩხატაურში სკვერისა და ტრენაჟორების მოწყობა. | 125000 | 6250 |
| 11 | ქ. სამტრედია, გამსახურდიას მოედნიდან მდ. ჭურთავას მიმართულებით სანიაღვრე არხის მოწყობა. | 190000 | 9500 |
| 12 | ლ. თევზაძის ქუჩაზე ქართველიშვილის ქუჩიდან აღმოსავლეთის მიმართულებით არხის მოწყობა. ლ.თევზაძის N6 ბინასთან გზის გადაკვეთაზე მდ. ფერჩხულამდე ცხაურის მოწყობა; რუსთაველის ქუჩაზე N10 ბინის წინ ცხაურის და არხის მოწყობა. | 105000 | 5250 |
| 13 | რესპუბლიკის ქუჩაზე გამსახურდიას მოედნამდე და შარტავას ქუჩაზე არხის მოწყობა; რუსთაველის ქუჩაზე დ. აღმაშენებლის სახ. ეკლესიიდან გამსახურდიას მოედნამდე გადამკვეთი ცხაურების მოწყობა. | 140000 | 7000 |
| 14 | გორმაღალის ადმ. ერთეულის სოფ. ქვაყუდეში და საჯავახოს ადმ. ერთეულის სოფ. ჭოგნარში წყალმომარაგების სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. | 150000 | 7500 |
| 15 | მელაურის ადმ. ერთეულში დ. ადეიშვილის ქუჩიდან ხვედელიძის ქუჩის მიმართულებით ასფალტ -ბეტონის საფარის დაგება. | 153000 | 7650 |

აზრი გამოთქვეს: ზაზა ადეიშვილმა, ბადრი შენგელიამ, მანანა სირბილაძემ, ნუგზარ ჯამბურიამ.

ზაზა ადეიშვილი - არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს ჩოგბურთის კორტებზე კაუჩუკის იატაკის მოწყობასთან დაკავშირებით, ერთი კი არა სამი შეიძლება მოეწყოს, მაგრამ იგივე ის თემა, როდესაც სპორტის სასახლის თემას ვიძახით გარკვეული საუბრები წინა ხელისუფლების დროს იყო, სურვილი მაშინაც იყო ,მაგრამ ვერ განხორციელდა. იმას მივაღწიეთ, რომ სამტრედიაში სპორტის სასახლე არის ნომერ პირველი საქმე. მაგრამ ეს შეთანხმება ამ გეგმებში, ვერც ლარებში ვერ ვნახეთ. 2022-2024 წლებია გაწერილი და არსად არ ჩანს სპორტის სასხლის თაობაზე საუბარი. მარტო ფიქრი და საუბარი შედეგს ვერ მოიტანს. კორტი არ გამოგვიყენებია ისე გაფუჭდა, ეხლა 275 000 ლარს ისევ კაუჩუკის იატაკის მოწყობაზე ვხარჯავთ და სპორტის სასახლისათვის პროექტიც კი არ გვიჭირავს ხელში. მიწის ნაკვეთი მაინც განისაზღვროს სად შეიძლება ამ სასახლის აშენება. დავიწყოთ, შევიძინოთ პროექტი. ვიცი რომ ეს არ არის ადვილი თემა. დღევანდელი განფასებით დაახლოებით 10 000 000 დაჭირდება, მაგრამ დაწყება აუცილებელია. ეტაპობრივად მივაღწიოთ საბოლოო შედეგამდე. რეალური, ქმედითი ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია.

ბადრი შენგელია - ბატონმა ზაზამ ძალიან კარგად ჩამოაყალიბა ყველაფერი. მე მიაჩნია, რომ ყველა სოფელში უნდა იყოს ჩოგბურთის მოედანი. მომავალი თაობის სწორად განვითარებისთვის აუცილებელიც კი არის. მაგრამ აქვე ავღნიშნავ, რომ ეს თანხები, რომელიც დაახლოებით 4,0 მილიონზე მეტია, სრულებით საკმარისი იქნებოდა სპორტის სასახლის მშენებლობისათვის საფუძვლის ჩასაყრელად. ჩვენ არა ერთხელ გვქონდა საუბარი სპორტის სასახლეზე. მიმაჩნია, რომ ჩვენი დუმილი არასწორია. წარმოდგენილ პროექტებზე წინააღმდეგი არა ვარ, თუმცა ზოგ სოფელში მეორედ იგება გზა, მაშინ როცა დიდი

ჯიხაიში-ჭაგნის დამაკავშირებელი, რეგიონალური მნიშვნელობის გზა, მოუწესრიგებელია, მიტოვებულია და ეკალ-ბარდებით დაფარულია. წარმოდგენილ პროექტებში მრავალი ხარვეზია და გამოსასწორებელია. იმედი მაქვს ახალი საკრებულო და მერი კიდევ უფრო დიდ ყურადღებას გამოიჩენენ დასამტკიცებელ პროექტებთან დაკავშირებით.

მანანა სირბილაძე - ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიჩნდება შეკითხვა. ბატონო გიორგი, პროექტების განხილვის დროს, რატომ არ არის ჩართული საკრებულოს დარგობრივი კომისიის წარმომადგენლები, ან მაჟორიტარი დეპუტატები. ვინ იღებს ამ გადაწყვეტილებას.

გიორგი ხაჟალია - მოგვმართავს, მოქალაქეები, მერის წარმომადგენელები თავიანთი სოფლის პრობლემებით მიმართავს მერს და ამის შემდგომ განიხილება, მომზადდება მოწონების შესახებ განკარგულების პროექტი და წარმოგიდგენთ საკრებულოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ნუგზარ ჯამბურია - მე-4 მოწვევის საკრებულომ რაც შეძლო, გააკეთა. აქ მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრები ბრძანდებით და მინდა გითხრათ, რომ ის წინადადებები, რაც აქ ითქვა გრძელდება. პროექტები კიდევ უნდა შემოვიდეს, რაც უფრო მეტი პროექტები იქნება მისი აღსრულების შანსიც მეტი იქნება. მე დარწმუნებული ვარ, ის რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის დიდი გულისტკივილია, მუნიციპალიტეტში ერთი ნორმალური, კულტურულ-გამაჯანსაღებელი სპორტული კომპლექსის არსებობა, ამ თემაზე ახალი მერიც საქმის კურსშია და ჩვენც საქმის კურსში ვართ. სხვათა შორის 2022 წლის ბიუჯეტის შენიშვნებში და წინადადებებში ეს ნაწილიც არის გათვალისწინებული.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2024 წლებში განსახორციელებელი 15 პროექტის მოწონების შესახებ’’.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

***სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე***

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი